საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №33
2023 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) 10^1 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების დროებითი ტარიფები:

ა)	3,3-6-10 კილოვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი):		
	2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე	-	18.136 თეთრი/კვტსთ;
ბ)	220/380 ვოლტი (მცირე საწარმოები):		
	2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე	-	17.072 თეთრი/კვტსთ;

გ) მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის” აბონენტებისათვის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

გ.ა)	101 კვტსთ-ის ჩათვლით:		
	2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე	-	4.453 თეთრი/კვტსთ;
გ.ბ)	101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით:		
	2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე	-	7.853 თეთრი/კვტსთ;
გ.გ)	301 კვტსთ-დან და მეტი:		
	2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე	-	11.653 თეთრი/კვტსთ.

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი
კომისიის წევრი	გოჩა შონია